ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13. 13240893**
თარიღი:**29/03/2024**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება'' - სათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ'' ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-6 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, ორგანიზაციის არსებობის ვადით, გადასცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება"-ს (ს/კ 424068591), ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:

ა) ახალციხის მუნიციპალიტეტის, ქ, ვალეში, სტალინის ქუჩაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 და N2 (საკადასტრო კოდი: 62.15.54.016);

ბ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ აწყურში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 და N2 (საკადასტრო კოდი: 62.04.55.332);

გ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ ზიკილიაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის II სართული (საკადასტრო კოდი: 62.05.55.010);

დ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ გიორგიწმინდაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის II სართული (საკადასტრო კოდი: 62.03.01.140);

ე) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ წინუბანში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის II სართულის N8, N10, N11 და N12 ოთახები (საკადასტრო კოდი: 62.05.52.007);

ვ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ წყორძაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 (საკადასტრო კოდი: 62.11.55.004);

ზ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ ივლიტაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის 291,00კვ.მ (საკადასტრო კოდი: 62.08.54.156.01.503);

თ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ მუსხში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 (საკადასტრო კოდი: 62.11.54.010);

ი) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ სვირში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N2-ში მდებარე N1, N2, N3, N4 და N5 ოთახები (საკადასტრო კოდი: 62.02.52.005);

კ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ მუგარეთში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის II სართულის 217,16კვ.მ (საკადასტრო კოდი: 62.03.08.313.01.500);

ლ) ქალაქი ახალციხეში, გოგებაშვილის ქუჩა N 7-ში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის 1 სართული (საკადასტრო კოდი: 62.09.17.019.01.500);

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი